

## ბეისბოლი

წარმატებული „ამერიკული ექსპორტი“ იაპონიაში



### პროფესიული ბეისბოლი

პროფესიული ბეისბოლოს თამაში ტარდება ორ ლიგაში: ცენტრალური ლიგა და წყნარი ოკეანის ლიგა (ფოტო Nippon Professional Baseball-ისგან)

ბეისბოლი (*იაკიუ*) იაპონიაში დაახლოებით 1873 წელს ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოვიდა. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი გუნდები, რამაც განაპირობა ბეისბოლის პოპულარობა. პროფესიული ბეისბოლი იაპონიის ყველაზე სანახაობრივი თამაშია და სპორტის ამ სახეობას ბევრი მოყვარული ჰყავს, განსაკუთრებით კი საშუალო სკოლებსა და უნივერსიტეტებში. კორპორაციათა უმრავლესობა ასევე აფინანსებს მოყვარულთა გუნდებს. იაპონიაში ორი პროფესიული ლიგის თამაშები ყოველდღიურად გადაიცემა სათამაშო სეზონზე, აპრილიდან ოქტომბრამდე, ხოლო პოპულარულ მოთამაშეებს ეროვნულ გმირებად მიიჩნევენ.

## სამოყვარულო ბეისბოლი



### ბეისბოლის უმაღლესი სკოლა

ჰიოგოს პრეფექტურაში, კოშიენის მოედანზე წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და ზაფხულზე ტარდება ეროვნული უმაღლესი სკოლის ბეისბოლის ტურნირი (ფოტო Photo Kishimoto-სგან)

მოედნიდან ტურნირების პირდაპირი ტრანსლაცია მთელს ქვეყანაში მიმდინარეობს იაპონიის სამაუწყებლო კომპანიისა (NHK) და რადიოს საშუალებით. მოთამაშეთა მეგობრები და ოჯახის წევრები ერთობლივად ჩადიან ჰიოგოში თამაშზე დასასწრებად. თითოეულ ტურნირს დაახლოებით მილიონი მაყურებელი ჰყავს. მშობლიურ ქალაქებში გუნდების შეჯიბრების ფინალის დროს, ხშირად ქუჩებში მოძრაობა ჩერდება, ხალხი საქმიანობას აჩერებს; გულშემატკივრები იკრიბებიან ტელევიზორებთან ან უსმენენ რადიოს. იაპონიის ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეების უმრავლესობა უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ირიცხება პროფესიულ გუნდებში. პროფესიული ლიგის მოთამაშეთა რიგები ძირითადად კოშიენის ტურნირის გამარჯვებულებითაა დაკომპლექტებული.



საბავშვო ბეისბოლი ბავშვები დროს საინტერესოდ ატარებენ ბეისბოლის თამაშში (ფოტო AFLO- სგან)

უნივერსიტეტის ბეისბოლს ასევე ბევრი მიმდევარი ჰყავს. ე.წ. „ექსიანის“ ნაკრების სახით. ეს გუნდებია - ჰოსეი, კეიო, მეიჯი, რიკიო, ტოკიოს უნივერსიტეტი და ვასედა, რომელთა აქტიური მხარდამჭერები არიან სტუდენტები და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

ყოველწლიური, კონკურენტუნარიანი შეჯიბრი კეიოსა და ვასედას უნივერსიტეტებს შორის ჯერ კიდევ 1903 წელს დაიწყო. წარმატებული პროფესიონალური კარიერის მქონე უნივერსიტეტის მოთამაშეებს შორის არიან ნაგაშიმა შიგეო - რიკიოს უნივერსიტეტიდან, ტაბუჩი კოიჩი და ეგავა სუგურუ - ჰოსეის უნივერსიტეტიდან.

კორპორაციებს თავიანთი მოყვარულთა ნაკრები ჰყავთ და ყოველწლიურად ტარდება კორპორაციული ტურნირი. მოიერიშე გუნდის მოთამაშეები იყენებენ მეტალის კეტს და ხშირად მოქმედებენ, როგორც შემტევი თავდამსხმელები. ამ ნაკრებთა საუკეთესო მოთამაშეების შერჩევა ხდება სატურნირო სეზონის დასაწყისში პროფესიული გუნდების მიერ და როგორც წესი, ხშირად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მომდევნო

სეზონის თამაშებში. იაპონიის მოყვარულთა ნაკრები ხშირად გამოდის რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებზე, როგორცაა ყოველწლიური მეგობრული შეხვედრა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ბეისბოლის ოლიმპიური სპორტის სახეობაში გაერთიანების შემდეგ, 1996 წლის ატლანტის თამაშებში, იაპონიის ნაკრები ვერცხლის მედალოსანი გახდა.

### პროფესიული ბეისბოლი



ბეისბოლის მოედანი - ბეისბოლი იაპონიის პოპულარული სპორტია; პროფესიული თამაშები უამრავ გულშემატკივარს იზიდავს (ფოტო Nippon Professional Baseball-სგან)

(ფუკუოკა), „ჰოკაიდო ნიპონ-ჰამ მებრძოლების“ (საპორო), „ორიქსის ხარების“ (ოსაკა), „საიტამა სეიბუს ლომებისა“ (ტოკოროძავა) და „ტოპოკუ რაკუტენის ოქროს არწივებისგან“ (სენდაი).

„ტოკიო დომი“ ანუ „დიდი კვერცი“ კორაკუენში, ტოკიოში, იყო იაპონიის პირველი გუმბათოვანი სტადიონი. მას სიდიდის მიხედვით მოსდევს ფუკუოკას, ნაგოიას და ოსაკას სათამაშო მოედნები, სადაც შესაძლებელია სპორტული თამაშების ჩატარება იაპონიის წვიმიან სეზონზე.

### ბეისბოლური ვარსკვლავები

ბეისბოლის უდიდესი პროფესიონალი მოთამაშეები თავიანთი შესაძლებლობებითა და მიღწევებით ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი ლიგის სპორტსმენებს უტოლდებიან. ყველაზე ცნობილი მოთამაშეა ოუ სადაჰარუ, რომელიც იომიურის გიგანტებში ცენტრის მოთამაშე გახლდათ. მან ოცდაორწლიანი კარიერის დროს სულ 868 ქულა მოაგროვა და შედეგად გაუსწრო ბეიბი რუტს, რომლის ქულათა ჯამი 714-ს შეადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ლიგის მოთამაშის, ჰენკ აარონის ქულათა ჯამი კი 755-ს შეადგენდა.

ომის შემდგომი პერიოდის პროფესიონალ ბეისბოლისტებს შორის უდიდესი ბურთის მიმწოდებელი იყო ცაცია კანედა მასაიჩი, ბურთის სროლის მაღალი კონტროლითა და უდიდესი

სიჩქარით, რომელმაც 400 თამაში მოიგო თავის კარიერის მანძილზე. სპორტის ამ სახეობაში სხვა წარმატებული მოთამაშეა კინუგასა საჩიო „ჰიროშიმას კობრიდან“. კინუგასამ მეტსახელად „რკინის კაცმა“, 2,215 თამაში მიყოლებით ითამაშა და მოხსნა აშშ-ს ძირითადი ლიგის რეკორდი, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ლოუ გეჰრიგს ნიუიორკ იანკიდან 2,130 თამაშით.

ბეისბოლის თანამედროვე ისტორიაში ყველაზე ცნობილია ნაგაშიმა შიგეო, რიკიოს უნივერსიტეტის ყოფილი ვარკსვლავი მოთამაშე, რომელმაც თავისი კარიერული ზრდა სრულყო იომიურის გიგანტებში, როგორც მოედნის შიგნით მოთამაშემ. ბეისბოლოს მისტერ გიგანტად ცნობილმა ნაგაშიმამ ცხრაჯერ ზედიზედ მოიგო იაპონიის ეროვნული ჩემპიონატი 1965 და 1973 წლებში.

### ინტერნაციონალიზაცია



ბეისბოლის ეროვნული ნაკრები იაპონიის ბეისბოლის ეროვნული ნაკრები ემზადება თამაშისთვის 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადა (ფოტო Photo Kishimoto-სგან)

1930-იანი წლებიდან ამერიკელი პროფესიონალების ვარსკვლავური გუნდები ხშირად სტუმრობდნენ იაპონიას. შედეგად, ბეისბოლის ყველა პროფესიონალ გუნდში დღეს ირიცხებიან უცხოელი ბეისბოლისტები.

იაპონიის პროფესიული გუნდები აკვირდებიან მოთამაშეებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კორეის რესპუბლიკიდან, ტაივანიდან და ზოგიერთი ლათინური ამერიკისა თუ კარიბის აუზის ქვეყნიდან. ბევრ მათგანს აქვს წარმატებული კარიერა და საკმარისი ქულათა ჯამი მაშინ, როცა სხვებმა ვერ შეძლეს პირობის შესრულება ან ვერ შეეწყვნენ განსხვავებულ სათამაშო სტილს და ერთი სეზონის შემდეგ დატოვეს გუნდი.

აღსანიშნავია, რომ ბევრი იაპონელი პროფესიული ლიგის მოთამაშე აფორმებს ხელშეკრულებას აშშ-ს ძირითადი ლიგის გუნდებთან თავისუფალი აგენტის სტატუსით. ნომო ჰიდეო, კინტეცუს ყოფილი ვარსკვლავი 1995 წელს გადავიდა ლოს ანჯელეს დოჯერსში. ნომოს შეარქვეს ზედმეტსახელად ტორნადო მისი უნიკალური ჩაწოდებების გამო და აირჩიეს ეროვნული ლიგის წლის ახალბედა მოთამაშედ.

სხვა იაპონელი პროფესიონალი მოთამაშეები გადანაწილდნენ ძირითად ლიგაში, მათ შორის სიეტლ მარინესის იჩირო (2001-2012) და ნიუ იორკის იანკები (ნიუ იორკ იანკიის) (2012), ნიუ იორკის იანკებიდან მაცუი ჰიდეკი (2003-2009), ლოს ანჯელეს ანაჰიმ (2010), ოაკლენდ ათლეტიკსი (2011), ტემპა ბეი რეის (2012), რომელიც პენსიაზე გავიდა 2013 წელს. ასევე აღსანიშნავია, მაცუმაკა დაისუკე ბოსტონ რედ სოქსიდან და დარვიმ იუ ტეხასის რეინჯერებიდან (ტექსას რეინჯერს). სულ ახლახანს ზოგიერთი საშუალო სკოლის ან კოლეჯის კურსდამთავრებულები სათამაშოდ მიიწვიეს პირდაპირ ამერიკულ გუნდებში.

იაპონელმა სპორტსმენებმა ზედიზედ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული მსოფლიო ქვეყნების ეროვნული გუნდების საერთაშორისო შეჯიბრზე ბეისბოლში, 2006 და 2009 წლის მსოფლიო ბეისბოლის კლასიკზე.